



საპარტავლოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია



2020 წლის
საპარლამენტო არჩევნების
ბრძელვადიანი
სადამკვირვებლო მისიის
IV შუალედური ანგარიში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.



თბილისი
2020

კვლევის ხელმძღვანელები: **სულხან სალაძე**
ვახუშტი მენაბდე

ავტორთა ჯგუფი:

წამყვანი მკვლევარი: **მარიამ ლაცაბიძე**

მკვლევარები: **კოკა კიღურაძე**

გვანცა ჯიქია

ნანა ჭანტურია

რედაქტორი: **ხათუნა ყვირაღაშვილი**

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.


ჯ.კახიძის ქ. N15, თბილისი, საქართველო, 0102

+995 322 936101

www.gyla.ge

სარჩევი:

შესავალი.....	5
პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდი (26 ოქტომბერი - 31 ოქტომბერი).....	7
მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი (1-ლი ნოემბერი - 21 ნოემბერი)....	9
1. ძალადობრივი ქმედებები.....	9
2. საპროტესტო აქციების ტალღა.....	10



შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2020 წლის მარტიდან დაიწყო პროექტის - „გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში“ იმპლემენტაცია. პროექტის მიზანია სამართლიანი, თანასწორი და კონკურენტული წინასაარჩევნო გარემოს ხელშეწყობა არჩევნების წინა პერიოდის მონიტორინგის გზით. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული მონიტორის მეშვეობით თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა და ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება. მონიტორების დახმარებით საია უზრუნველყოფს სანდო და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისთვის.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2020 წლის 26 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე პერიოდში და კენჭისყრის შემდგომ არჩევნების მეორე ტურამდე გამოვლენილ დარღვევებსა და ცუდ პრაქტიკას.

2020 წლის არჩევნების შედეგების გამოცხადებას ოპოზიციის მხრიდან ხმაური და პროტესტი მოჰყვა. ოპოზიციური პარტიები არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ. მიიჩნევენ, რომ ის გაყალბდა, რასაც, მათი თქმით, ადასტურებს შემაჯამებელი ოქმების უზუსტობები, ისევე როგორც არჩევნების დღეს ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის მიმართულებით დაფიქსირებული დარღვევები. საია ყურადღებით დააკვირდა საჩივრების განხილვის პროცედურებს, ასევე, საარჩევნო კომისიებთან გამართულ აქციებს თბილისსა და რეგიონებში. ანგარიშის მიზნებისთვის განხილულია შეკრებები, რომლებიც სამართალდამცველებსა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამას ზოგ შემთხვევაში მოჰყვა ძალის არალეგიტიმური ან/და არაპროპორციული გამოყენება და ოპოზიციური პარტიების აქტივისტების დაკავებები, რამაც ისედაც კრიზისული ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა. საია მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების მშვიდობიანი პროტესტის გამოსატვის შესაძლებლობა, უნდა იმოქმედოს კანონის ფარგლებში და არ დაუშვას ამ უფლებით სარგებლობის არალეგიტიმური და არაპროპორციული შეზღუდვა. საერთო ჯამში, ხელისუფლებამ ამ დავალებას თავი ვერ გაართვა.

ამასთან, არჩევნების დღემდე და მის შემდგომ პერიოდშიც შეინიშნებოდა ძალადობრივი ტენდენციები. კერძოდ, საიასთვის ცნობილი გახდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსა და მათი ოჯახის წევრებზე თავდასხმის შემთხვევები, ასევე ოპოზიციის პარტიის ოფისის დარბევის ინციდენტი. ყველა მათგანი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და აუცილებელია ამ საქმეების ყოველმხრივი, დროული, მიუკერძოებელი გამოძიება.

ორგანიზაცია წუხილს გამოთქვამს, რომ კვლავ დაფიქსირდა სახელისუფლებო პროექტის პერსონიფიცირების ფაქტი და კონკრეტულ პარტიასთან აფილირება. ეს არის გაუმარ-

თლებული სტრატეგია, რომელიც, საბოლოოდ, შლის ზღვარს სახელმწიფოსა და პარტიას შორის.

საერთო ჯამში, საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს:

26 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე პერიოდში:

- სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფის 1 შემთხვევა;
- ძალადობრივი ქმედების 1 შემთხვევა.

არჩევნების მეორე ტურამდე პერიოდში:

- ძალადობრივი ქმედების 3 შემთხვევა.

საიამ საპროტესტო აქციების ტალღაზე დაკვირვებისას ყურადღება გაამახვილა ინციდენტებზე, რომლებსაც მოჰყვა შეკრების თავისუფლებაში უხეში ჩარევა ან/და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების დაკავება. ანგარიშში სულ 7 ასეთი შემთხვევაა განხილული.



პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

26 ოქტომბერი - 31 ოქტომბერი

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ადდგენითი სამუშაოების პერსონიფიცირება (ფოთი)

26 ოქტომბერს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოფიციალური Facebook-გვერდის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქალაქში მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ადდგენის სამუშაოები, რომლებსაც ახორციელებს ფონდი „ქართუ“, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად.¹ ფონდი „ქართუ“ მჭიდრო კავშირშია მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან და წინასაარჩევნოდ სახელისუფლებო პროექტების მასთან დაკავშირება მანიპულაციაა. საიას აზრით, **ხელისუფლების მხრიდან წინასაარჩევნოდ მუნიციპალური პროექტების პერსონიფიცირება დაუშვებელია. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ეს არის გაუმართლებელი სტრატეგია, რომლის შედეგად სახელმწიფოსა და სახელისუფლებო პარტიას შორის ზღვრის წაშლაა. ეს კი, საბოლოო ჯამში, ამომრჩევლის აღქმას ამახინჯებს და არსებულ უმრავლესობას საარჩევნო უპირატესობას აძლევს.**

ლეიბორისტული პარტიის აქტივისტებისთვის შეკრების უფლებით სარგებლობაში ხელშეშლა

27 ოქტომბერს თვითიზოლაციაში მყოფი პირების რეგისტრაციისა და გადასატანი ყუთით სარგებლობის წესების გასაპროტესტებლად „ლეიბორისტული პარტიის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა ცესკოსთან აქცია გამართეს.² ისინი თამარ ჟვანიასთან შეხვედრას და ვადის გადაწევას ითხოვდნენ.³ ვითარება დაიძაბა მას შემდეგ, რაც აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ცესკოს შენობაში კარავი შეიტანა.⁴ ვიდეოკადრებში ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ეს პირი კარვით შევიდა ცესკოს ფოიეში, აქცია გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში მონაწილეებსა და სამართალდამცავებს შორის.⁵ საბოლოოდ, ამ ადამიანს შენობა დაატოვებინეს,⁶ ხოლო პარტია „ლეიბორისტების“ სამი წევრი ადმინისტრაციული წესით, წვრილმანი ხულიგნობის⁷ და სამართალდამცავების კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის⁸ ბრალდებით დააკავეს.⁹ საიას ინფორმაციით, სამივე

¹ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური Facebook-გვერდი, 26.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35LzQdE>, განახლებულია: 18.11.2020.

² „ცესკოსთან „ლეიბორისტული პარტიის“ წევრები აქციას მართავენ“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 27.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36MocOR>, განახლებულია: 18.11.2020.

³ იქვე.

⁴ ტელეკომპანია „ტვ პირველი“, პირდაპირი ეთერი, 27.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kHjK8V>, განახლებულია: 18.11.2020.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი.

⁹ „ცესკოსთან „ლეიბორისტული პარტიის“ 3 წევრი დააკავეს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 27.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IMqzr1>, განახლებულია: 18.11.2020.

პირს ჩამოართვეს ახსნა-განმარტება და იმ დღესვე გამოუშვეს. სასამართლო პროცესი ამ დრომდე არ გამართულა.

აღსანიშნავია, რომ პროტესტი მიმდინარეობდა ცესკოს ფოიეში და იქ მოსახვედრად საჭირო არ არის სპეციალური ნებართვა. ამასთან, თავად აქციის მართლწინააღმდეგობის შესახებ საკითხი არ დასმულა და მისმა მონაწილეებმა ამ ინციდენტის შემდეგაც გააგრძელეს პროტესტი ისეთი ფორმით, როგორც მანამდე გამოხატავდნენ. ამ ფონზე გაუგებარია ზემოხსენებული პირისთვის კარვით შენობაში შესვლის აკრძალვა და სხვების დაკავება. საია მიიჩნევს, რომ ეს იყო შეკრების თავისუფლებაში არალეგიტიმური ჩარევა.

საია მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აქციებზე უზრუნველყოს შეკრების უფლებით მშვიდობიან გარემოში სარგებლობის შესაძლებლობა.

თავდასხმა „ლეიბორისტული პარტიის“ აქტივისტებზე

„ლეიბორისტული პარტიის“ ინფორმაციით, 28 ოქტომბერს სოფელ მარტყოფში პარტიის აქტივისტები ფლანგებს არიგებდნენ და მოქალაქეებს ხვდებოდნენ, რა დროსაც მათ თავს დაესხნენ.¹⁰ პარტიის განცხადებით, „ქართული ოცნების“ 4-მა მხარდამჭერმა ახალგაზრდებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და სააგიტაციო მასალა გაუნადგურა,¹¹ ხოლო მას შემდეგ, რაც აქტივისტებმა აგიტაცია არ შეწყვიტეს, ადგილზე „ჯიპით“ მივიდნენ პირები, რომლებმაც მათზე ფიზიკურად იძალადეს და აიძულეს, სოფელი დაეტოვებინათ.¹² შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ თავდასხმაში გარდაბნის მერის მრჩეველი გიორგი შინჯიკაშვილი მონაწილეობდა.¹³ **საია მიიჩნევს, რომ ეს საქმე შეიცავს ჯგუფური ძალადობის¹⁴ ნიშნებს და მოუწოდებს საგამოძიებო უწყებებს, გამოძიება დროულად და ობიექტურად წარმართონ.**


¹⁰ „ლეიბორისტები: „ოცნების“ მხარდამჭერებმა ჩვენი აქტივისტები მარტყოფიდან გამოყარეს“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულანიუსი“, 28.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38ROfxI>, განახლებულია: 17.11.2020.

¹¹ იქვე.

¹² „ქართული ოცნების ზონდერჯგუფები ლეიბორისტული პარტიის წევრებს თავს დაესხნენ!“, Facebook-გვერდი „ლეიბორისტული ბლოგი“, 29.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pDlfbN>, განახლებულია: 17.11.2020.

¹³ „ცნობილია მარტყოფში ლეიბორისტებზე თავდამსხმელების ვინაობა“, „ლეიბორისტული პარტიის“ ვებგვერდი, 29.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nylsvi>, განახლებულია: 17.11.2020.

¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი.



მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი

1-ლი ნოემბერი - 21 ნოემბერი

1. ძალადობრივი ქმედებები

ქვემოთ განხილული ყველა შემთხვევა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. მათგან ნაწილზე დაწყებულია გამოძიება, ნაწილი კი შესაბამისი ორგანოების რეაგირებას ელოდება. საია მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, ყველა შემთხვევა სრულყოფილად გამოიძიონ, პროცესი კი ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართონ.

ბათუმში ოპოზიციის წარმომადგენლებს თავს დაესხნენ

7 ნოემბერს ბათუმში, ე.წ. „ხოფის ბაზრობის“ ტერიტორიაზე ოპოზიციის წარმომადგენლები არიგებდნენ 8 ნოემბრის საპროტესტო აქციის ფლაერებს, რა დროსაც მათ უცნობი პირი თავს დაესხა.¹⁵ ამ დაპირისპირებაში სხვებიც ჩაერთნენ. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პარტია „მოქალაქეების“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ გენრი დოლიძეს.¹⁶ თავდასხმის მსხვერპლი გახდა ოპოზიციონერი გიორგი გაბაიძე.¹⁷ პარტია „ლელოს“ წევრი სავარაუდო თავდამსხმელს ასახელებს და მტკიცებულების სახით ფაქტის ამსახველ კადრებსაც აქვეყნებს.¹⁸ შსს-მ გამოძიება ძალადობის მუხლით¹⁹ დაიწყო.²⁰

მარნეულში ენმ-ის წევრ ლაშა ქველაძის ოჯახს თავს დაესხნენ

10 ნოემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთმა ლიდერმა ხატია დეკანოიძემ განაცხადა, რომ მათი პარტიის წევრ ლაშა ქველაძეს ოჯახში მიუვარდნენ „ქართული ოცნების“ საკრებულოს თავმჯდომარე და წევრები.²¹ ლაშა ქველაძე განმარტავს, რომ მის საცხოვრებელთან მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიორგაძე თანმხლებ პირებთან ერთად, ნასვამ მდგომარეობაში

¹⁵ „ბათუმში ოპოზიციის წევრებზე თავდამსხმელი იდენტიფიცირებულია“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები“, 07.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kDMU92>, განახლებულია: 17.11.2020.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.

¹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი.

²⁰ „ბათუმში ოპოზიციის წევრებზე თავდამსხმელი იდენტიფიცირებულია“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები“, 07.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kDMU92>, განახლებულია: 17.11.2020.

²¹ „მარნეულში, ჩვენს წევრს ლაშა ქველაძეს, რომელზეც ფიზიკურად იძალადეს არჩევნებამდე, დღეს ოჯახში მიუვარდნენ“, ხატია დეკანოიძის ოფიციალური Facebook-გვერდი, 10.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2UkAAjg>, განახლებულია: 17.11.2020.

მიიჭრა და ოჯახის წევრებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.²² ამ დროს თვითონ სახლში არ იმყოფებოდა,²³ თუმცა, მისივე ინფორმაციით, თავდამსხმელებიდან ყველა 29 სექტემბრის დაპირისპირების მონაწილე იყო.²⁴

გლდანში ნიკა მელიას შტაბი დაწვეს

16 ნოემბერს, პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, გლდანის მესამე მიკრორაიონში „ნაციონალური მოძრაობის“ გლდანი-ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ნიკა მელიას საარჩევნო შტაბის ოფისი დაარბიეს.²⁵ პარტიის წარმომადგენლის ინფორმაციით, 16 ნოემბერს დილის 06:00 საათზე ოფისს ქვები ესროლეს, რის შედეგადაც ჩაიმტვრა მინა, ხოლო შემდგომ ესროლეს ორი ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი.²⁶

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, თავის მხრივ, ნიკა მელიამ დაასახელა ის პირები, რომლებმაც შტაბი გადაწვეს.²⁷ ის ორგანიზატორად კალაძე-კობიაშვილს, შემსრულებლებად კი ე.წ. კანონიერ ქურდ ნოდარ შუკაკიძეს და მის ძმას ლევან შუკაკიძეს ასახელებს.²⁸ გამოძიება დაწყებულია სხვისი ნივთის დაზიანების მუხლით.²⁹ ამოღებულია კამერების ჩანაწერები.³⁰

2. საპროტესტო აქციების ტალღა

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, პარტია „ქართული ოცნება“ ხმების 48,22%-ით ლიდერობს, მეორე ადგილს კი საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ ხმათა 27,18%-ს იკავებს.³¹ ოპოზიციური პარტიები არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ და მიიჩნევენ, რომ ის გაყალბდა, რასაც მათი თქმით, ადასტურებს შემაჯამებელი ოქმების უზუსტობა, ისევე როგორც არჩევნების დღეს ამომრჩევლის მოსყიდვა, დაშინება და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის მიმართულებით დაფიქსირებული სხვა პრობლემები. საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრების განხილვა საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა. ოპოზიციური

²² „მარნეულში ენმ-ის წევრის, ლაშა ქველადის ოჯახს თავს დაესხნენ“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 10.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2lrEkNI>, განახლებულია: 17.11.2020.

²³ „თუ ხელისუფლება ზომებს არ მიიღებს, შეიძლება უარესი გააკეთონ - ლაშა ქველადე თავდამსხმელებზე“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 11.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2UhMSsv>, განახლებულია: 17.11.2020.

²⁴ იქვე.

²⁵ „ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, გლდანში ნიკა მელიას საარჩევნო შტაბის ოფისი დაწვეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 16.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32WswAr>, განახლებულია: 17.11.2020.

²⁶ იქვე.

²⁷ „კამერებში კარგად ჩანს დამნაშავეთა ვინაობა, მაგრამ ობიექტური გამოძიების იმედი არ გვაქვს - მელიას შტაბის ხელმძღვანელი“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 17.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IKkb3R>, განახლებულია: 19.11.2020.

²⁸ იქვე.

²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

³⁰ „გლდანში მელიას ოფისს ცეცხლი წაუკიდეს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 16.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2IUByAs>, განახლებულია: 19.11.2020.

³¹ 2020 წლის არჩევნების წინასწარი შედეგები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KeDrs8>, განახლებულია: 19.11.2020.

პარტიების წარმომადგენლებმა და აქტივისტებმა აქციები თბილისსა და რეგიონებში გამართეს. ისინი კომისიის შენობებში შესვლას და საჩივრების განხილვაზე დასწრებას ითხოვდნენ. ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში საოლქო კომისიებთან გამართულ საპროტესტო აქციებს სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირებები და ოპოზიციური პარტიების აქტივისტების დაკავებები მოჰყვა.

საბურთალოს N3 ოლქი

4 ნოემბერს საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიასთან მიმდინარე აქციაზე რამდენიმე პირი დააკავეს³² და წვრილმანი ხულიგნობისა³³ და სამართალდამცავების მიმართ დაუმორჩილებლობის³⁴ მოტივით განყოფილებაში გადაიყვანეს.³⁵ მათგან ორი - ოთარ თავართქილაძე³⁶ და მანუჩარ ომნიაძე - პარტია „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელია.³⁷ დაკავებულია ალექო ელისაშვილის თანამოაზრე შალვა კარელიძეც, რომელიც ალექო ელისაშვილსა და სამართალდამცავებს შორის მომხდარი ურთიერთდაპირისპირების შემდეგ გადაიყვანეს განყოფილებაში.³⁸ პარტია „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლები იმ დღესვე გამოუშვეს. სასამართლო პროცესი ამ დრომდე არ ჩატარებულა.

5 ნოემბერს საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიასთან ოპოზიციის წარმომადგენლები და აქტივისტები კვლავ შეიკრიბნენ.³⁹ ხმაური მოჰყვა კომისიის შენობასთან ზვიად კუპრაძას მისვლას.⁴⁰ ის, საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში მოწმობის მქონე პირების შეშვებასთან ერთად, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ლაჩაშვილთან შეხვედრას ითხოვდა.⁴¹ აცხადებდა, რომ მისთვის იმ მტკიცებულებების გადაცემას აპირებდა, რომლებიც არჩევნების გაყალბებას ასახავდა. მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე არ შეხვდა, კუპრაძამ საარჩევნო ოქმები პოლიციელებისა და საოლქო საარჩევნო კომისიის შენობის მიმართულებით ისროლა, რასაც ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.⁴² მედიის ინფორმაციით, დააკავეს 4 პირი, მათ შორის, ზვიად კუპრაძაც.⁴³ მოტივი წვრილმანი ხულიგნობა და სამართალდამცველების მიმართ დაუმორჩილებლობა იყო.⁴⁴ პარტიის ინფორმაციით, ზვიად კუპრაძა მალევე გაათავისუფლეს. რაც შეეხება დანარჩენ პირებს, სასამართლომ ერთი მათგანი 1000 ლარით დააჯარიმა, ხოლო დანარჩენ ორს 7-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

³² „შსს-ს ინფორმაციით, საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიასთან სამი პირია დაკავებული“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 04.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34Z1P9b>, განახლებულია: 05.11.2020.

³³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

³⁴ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი.

³⁵ „შსს-ს ინფორმაციით, საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიასთან სამი პირია დაკავებული“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 04.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34Z1P9b>, განახლებულია: 05.11.2020.

³⁶ პარტია „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“ სის მე-4 ნომერი.

³⁷ პარტია „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელი საარჩევნო კომისიაში.

³⁸ „ალექო ელისაშვილი - ვინც პატიოსნად, უფულოდ, ალაღად, კაცურად ხმა მომცა, როგორ არ დავიცვა მათი ხმა, შორიდან ვუყურო როგორ აყალბებენ?“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 04.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34Z1P9b>, განახლებულია: 05.11.2020.

³⁹ „ვაკის საოლქო კომისიასთან ინციდენტის დროს 4 პირი დააკავეს - შსს“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 05.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/354fzPT>, განახლებულია: 06.11.2020.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე.

⁴³ იქვე.

⁴⁴ იქვე.

ისნის N5 ოლქი

4 ნოემბერს ისნის საარჩევნო ოლქთან აქცია გამართეს „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „ლელოს“ აქტივისტებმა.⁴⁵ მათ არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად კომისიის შენობასთან კარტოფილი მიიტანეს.⁴⁶ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საპროტესტო აქცია სამართალდამცავებსა და მონაწილეებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის შედეგადაც, რამდენიმე პირი დააკავეს.⁴⁷ საიას ინფორმაციით, დაკავებულებს შორისაა პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი კაპანაძე, ასევე, „შეცვალეს“ და „გაბედეს“ აქტივისტები და სხვები. აქედან ორი იმავე დღეს გამოუშვეს. საიას ინფორმაციით, სასამართლომ ზოგი დააჯარიმა, ხოლო ზოგიერთს პატიმრობა შეუფარდა.

ბათუმის N79 ოლქი

4 ნოემბერს ბათუმის N79 საოლქო საარჩევნო კომისიამ 21:00 საათისთვის ჩანიშნული საჩივრების განხილვის პროცესი საპროტესტო აქციის ფონზე წარმართა.⁴⁸ მედიის მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ საოლქო კომისიის შენობას პოლიციის კორდონი იცავდა და ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შენობაში შესვლის შესაძლებლობა თავდაპირველად არ მიეცათ.⁴⁹ არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო პოლიტიკური პარტიის აქტივისტებისა და მოქალაქეების პროტესტს დაპირისპირება მოჰყვა.⁵⁰ შედეგად, პროტესტის დროს ჩაიმსხვრა კომისიის გვერდით მდებარე შენობის ვიტრინა და დაშავდა რამდენიმე პირი, მათ შორის, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი კირთაძე.⁵¹ აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის კონსტანტინე ანანიაშვილის თქმით, დაშავდა პოლიციელიც.⁵² საიას ინფორმაციით, ვიტრინის ჩამსხვრევა გამოიწვია პოლიციის კორდონთან დაპირისპირებამ, როცა ისინი აქციის მონაწილეების შენობიდან მოშორებას ცდილობდნენ. თუმცა, სხდომის დაწყებამდე პოლიციამ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის შენობის შესასვლელთან კორიდორი უზრუნველყო.

ამის პარალელურად, არჩევნების შედეგების საპროტესტო აქციები აჭარის მთავრობის სახლთან უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. 17 ნოემბერს, ერთ-ერთ ასეთ აქციაზე, პოლიცია და აქციის მონაწილეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.⁵³ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების განცხადებით, პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირება აჭარის მთავრობის შენობაზე სტიკერების გაკვრის გამო დაიწყო.⁵⁴

⁴⁵ „ისნის საოლქო საარჩევნო კომისიასთან აქციის მონაწილეებმა პროტესტის ნიშნად კარტოფილი მიიტანეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 04.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/389dkgg>, განახლებულია: 05.11.2020.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ „ბათუმში აქციაზე შუშის ჩამსხვრევის შედეგად მინიმუმ 5 პირი დაშავდა“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები“, 04.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38Xt0DI>, განახლებულია: 13.11.2020.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

⁵² იქვე.

⁵³ „ბათუმში პოლიციასთან დაპირისპირების დროს 1 პირი დაშავდა, 2 კი დააკავეს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 17.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32XF8ke>, განახლებულია: 24.11.2020.

⁵⁴ იქვე.

შსს-ს ინფორმაციით, დაპირისპირების შედეგად, ორი პირი დააკავეს.⁵⁵ ბათუმის საქალაქო სასამართლომ საპროტესტო აქციაზე დაკავებული ჯელალ ქიქავა 1000 ლარით დააჯარიმა, ხოლო აქციის მეორე მონაწილე – რამაზ შაინიძე გაამართლა.⁵⁶

8 ნოემბრის აქცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან

2020 წლის 8 ნოემბერს საქართველოს პარლამენტთან გაიმართა აქცია „დაიცავი შენი ხმა“, რომლის დასრულების შემდეგ აქციის მონაწილეთა ნაწილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობისკენ გადაინაცვლა. სპეცრაზმმა ცესკოსთან შეკრებილი რამდენიმე ათეული აქციის მონაწილის წინააღმდეგ წყლის ჭავლი გამოიყენა. შს მინისტრის მოადგილის თქმით, ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო 14-მდე სამართალდამცავმა, მედიის 3-მა წარმომადგენელმა და აქციის 10-მდე მონაწილემ.⁵⁷ პოლიციამ 8 ნოემბრის საპროტესტო აქციაზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე ადმინისტრაციული წესით ჯამში 19 პირი დააკავა.⁵⁸

ცესკოს წინ აქციის მიმდინარეობისას პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ რამდენჯერმე გამოიყენა სპეციალური საშუალებები, რაც საქართველოს კონსტიტუციით დაცული შეკრების თავისუფლების უხეშ დარღვევას წარმოადგენდა.⁵⁹ საია მიიჩნევს, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული სპეციალური საშუალებები არ იყო კანონის შესაბამისი, პროპორციულად შემზღუდველი და აუცილებელი.⁶⁰ შს სამინისტრომ ვერ უზრუნველყო შესაბამისი ზომების მიღება, რათა მაქსიმალურად აეცილებინა თავიდან იმ დემონსტრანტების დაშლა და დაზიანება, რომლებიც არ იყვნენ ძალადობრივ ქმედებებში ჩართულნი. საერთო ჯამში, მშვიდობიანი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ძალის გამოყენება არალეგიტიმური იყო.⁶¹

„სირცხვილიას“ აქტივისტების დაკავება

2020 წლის 9 ნოემბერს მოძრაობა „სირცხვილიამ“ საქართველოს პარლამენტთან დაუმორჩილებლობის აქცია გამართა. აქცია დაიგეგმა 22:00-დან 05:00-მდე, რა დროსაც ხელისუფლებამ გადაადგილება შეზღუდა და მთელი ქვეყნის მასშტაბით კარანტინი გამოაცხადა. აქციამდე რამდენიმე წუთით ადრე პარლამენტის შენობასთან მოძრაობა „სირცხვილიას“ სამი აქტივისტი - გიორგი მჟავანაძე, ლექსო მაჭავარიანი და ნოდარ რუხაძე დააკავეს. როგორც ირკვევა, ისინი აქციაზე შეშის მიტანას ცდილობდნენ გასათბობად. დაკავებულებს ბრალად ედებათ წვრილმანი ხულიგნობა⁶² და სამართალდამცავი ორგანოს თანამ-

⁵⁵ „შსს: ბათუმში აქციაზე დაკავებულია 2 პირი“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 17.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ISXdcd>, განახლებულია: 24.11.2020.

⁵⁶ „ჯელალ ქიქავა დააჯარიმეს, აქციის მეორე მონაწილე გაამართლეს – სასამართლოს გადაწყვეტილება“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 19.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2HvpDIN>, განახლებულია: 24.11.2020.

⁵⁷ „აქციაზე დაშავდა 27-მდე პირი, დაკავებულია 19 ადამიანი - შსს“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 09.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nT0BWP>, განახლებულია: 20.11.2020.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ „8 ნოემბრის აქციაზე გამოყენებული საპოლიციო ძალა უკანონო და არაპროპორციული იყო“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 10.11.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nKnvFV>, განახლებულია: 20.11.2020.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ იქვე.

⁶² საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

შრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.⁶³ ამ მუხლების საფუძველზე, გიორგი მჭავანაცხე 3 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.

თითქმის ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საპროტესტო აქციები გადაიზარდა სამართალდამცველებსა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირებაში. ამას მოჰყვა ოპოზიციური პარტიების წევრებისა და აქტივისტების დაკავება, რამაც ისედაც კრიზისული ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა. საია მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების პროტესტის გამოსატვის შესაძლებლობა, იმოქმედოს კანონის ფარგლებში და არ დაუშვას ამ უფლებით სარგებლობის არალეგიტიმური და არაპროპორციული შეზღუდვა. საერთო ჯამში, ხელისუფლებამ ამ დავალებას თავი ვერ გაართვა.

⁶³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი.